



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 04.07.2019 წლის №053/19<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნათია ადუაშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევს მომჩივანის ოჯახის მოწინააღმდეგე მხარეს. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა მას და მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა, მათ შორის, ადვოკატმა განაცხადა, რომ საჩივრის ავტორმა, მის კლიენტს, ჯადო გაუკეთა; ამასთან, ადვოკატი იმუქრება, პროკურატურაში მიმართვითა და ასევე, ქონებრივი დავის წამოწყებით; დაარღვია საჩივრის ავტორთან დადებული ურთიერთშეთანხმება და მომჩივნის სახლში, თავის კლიენტთან ერთად, მივიდა. თავის მხრივ, ადვოკატი უარყოფს ურთიერთშეთანხმების არსებობასა და შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. ამბობს, რომ გამოხატავს კლიენტის პოზიციას და იცავს მის ინტერესებს; ამასთან, მომჩივანიც და ადვოკატიც, ადასტურებენ, რომ არასდროს არ ჰქონიათ არანაირი სახის კომუნიკაცია.

### პროცესუალური ისტორია

მომჩივანმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება.

### სამართლებრივი შეფასება

შესაფასებელია ადვოკატმა დაარღვია თუ არა ერთი მხრივ, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და მეორე მხრივ, პროფესიული ვალდებულება არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ადვოკატს კლიენტის ინტერესების დასაცვად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების უფლება აქვს ( ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 6.1). ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 5.გ). კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით; გარდა ამისა, ეთიკური ქცევის ვალდებულება ადვოკატს, არა მხოლოდ კონკრეტულ კლიენტთან ურთიერთობისას მოეთხოვება, არამედ, ყველგან, სადაც ადვოკატის პროფესიის წარმომადგენლად აღიქმება. საჩივარში, არ არის წარმოდგენილი, კონკრეტულად, ის ფაქტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ სავარაუდო არაეთიკური ქცევის შეფასება, მათ შორის მომჩივანი არ აკონკრეტებს იმ ქმედებებს, რომელიც მისი აზრით შეურაცხმყოფელია. ადვოკატის მიერ იმის თქმა, რომ საჩივრის ავტორმა, თავის კლიენტს, ჯადო გაუკეთა, არის კლიენტის პოზიციის გაჟღერება, რომელიც შესაძლოა, არ იყოს მისაღები მხარისთვის, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს არაეთიკურ აქცევას. ამასთან, ადვოკატის მითითება, რომ პროკურატურას და სასამართლოს მიმართავს მხარეთა წინააღმდეგ, არის კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება. საჩივრის ავტორის განმარტების გარდა, სხვა არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს ადვოკატის მიერ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებაზე, ამიტომ, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმრისთვის საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი არ არსებობს.

### დასკვნა

ადვოკატის განცხადება საჩივრის ავტორის მიერ ჯადოს გაკეთების თაობაზე, წარმოადგენს კლიენტის პოზიციის გაჟღერებას, ასევე ადვოკატის მითითება, რომ პროკურატურას და

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/621784285dd73.pdf/053.19.%20ar%20agdzvra.%2004.07.19.pdf>



ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
იურიდიული ეთიკის  
მიმართულება

სასამართლოს მიმართავს მხარეთა წინააღმდეგ, არის კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და სხვა არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს ადვოკატის მიერ ეთიკურ გადაცდომაზე. შესაბამისად, სახეზე არა არის დისციპლინური დევნის აღძვრისთვის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი.